საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2024 წლის თებერვალი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2024 წლის თებერვლის თვეში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №77/04

2024 წლის 2 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის №21/04 ბრძანებით „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 წესს დაემატა შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. თუ დაინტერესებული პირის ადმინისტრატორი/ადმინისტრატორები ან/და მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირი/არაპირდაპირი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრე (მესაკუთრეები)/მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირი ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტ(ებ)ში ფლობს აქციებს/წილს ან ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტ(ებ)ში წარმოადგენს ადმინისტრატორს და გავლილი აქვს ეროვნული ბანკში ადმინისტრატორის/ადმინისტრატორების ან/და მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირი/არაპირდაპირი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების)/მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირის სულ მცირე ამ წესის შესაბამისი ან /და უფრო კომპლექსური შესაფერისობის შემოწმება, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მხედველობაში მიიღოს ეროვნულ ბანკში შესაფერისობის დადგენისას წარმოდგენილი

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ინფორმაცია/დოკუმენტაცია და აღარ მოითხოვოს დაინტერესებული პირისგან ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ ან/და „ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა .“.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.18.011.016827

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისრის ბრძანება №996

2024 წლის 5 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №37 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 47-ე მუხლი (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტურქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017799

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 5 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №38 ბრძანებით გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 73^2 მუხლი (დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტურქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017800

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №06/ნ

2024 წლის 12 თებერვალს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №24/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე- 3 მუხლი (უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები); მე-9 მუხლი (ფსიქოლოგიური დახმარების მიღება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430090000.22.022.018442

ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №34/04

2024 წლის 14 თებერვალს დამტკიცდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესი თანდართულ დანართთან ერთად და ძალადაკარგულად გამოცხადდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის № 59/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016829

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04

2024 წლის 14 თებერვალს დამტკიცდა კომერციული ბანკის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების წესი თანდართულ დანართთან ერთად და ძალადაკარგულად გამოცხადდა „კომერციული ბანკის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016830

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2024 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №47 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტურქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017802

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №46 ბრძანებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს N257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტურქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017801

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №28/ნ

2024 წლის 15 თებერვალს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №28/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის:

1. „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„თ) სახელმძღვანელოს მაკეტის ანკეტა (შემდგომ – ანკეტა) – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული სახელმძღვანელოს მაკეტის შესახებ. ანკეტის რეკვიზიტებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი);“.

2. „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ჟ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით;“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018446

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №3

2024 წლის 21 თებერვალს დამტკიცდა „დაწესებულებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების, ამ სტატუსის გაუქმებისა და ავტორიზებული პირის მიერ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისთვის – „საქპატენტისთვის“ ინფორმაციის მიწოდების წესი“ და დამტკიცდა ავტორიზებული პირის მიერ საქპატენტისთვის ინფორმაციის წარდგენის ფორმა (Excel ფორმატში) №1 დანართის სახით.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050040000.48.065.016035

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლისა, ამოქმედდა 2024 წლის 22 თებერვლიდან.

ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 1 ივლისიდან.

LCC
Law Firm

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №08

2024 წლის 29 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის №26 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში და მე-3 მუხლი (ოქმის ფორმის შენახვა და უფლებამოსილი პირებისთვის გადაცემა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016027

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №25

2024 წლის 29 თებერვალს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი და ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 19 ივლისის №14 ბრძანება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016026

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №23

2024 წლის 29 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით, თანდართული სახით, დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა“ და ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №03 ბრძანება.

ზემოაღნიშნული ნუსხის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016024

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №257

2024 წლის 29 თებერვალს საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილების:

1. 47-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) საერთაშორისო ან/და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ან/და მათზე არსებული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისას სამშენებლოდ გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთების შემცირება, რომლებზეც არ განხორციელებულა სამშენებლო სამუშაოები.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა 3^1 პუნქტი:

„3[1]. სამშენებლო დოკუმენტში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, სამშენებლოდ გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთების კორექტირებული მონაცემები წარუდგინოს სააგენტოს. სააგენტოს მიერ სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილების დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. შეთანხმების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრულ სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. სამშენებლო დოკუმენტში ამ მუხლის პირველი პუნქტით (გარდა ამ მუხლის მე-3 და 31 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) განსაზღვრული ცვლილებები შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურის დროს წარმოადგენს დასაშვებ ცვლილებებს და მათი დადასტურება ხდება ამ დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“.

2. XIX[1] თავის შემდეგ დაემატა XIX[2] თავი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.10.003.024450

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №56

2024 წლის 29 თებერვალს საქართველოს მთავრობის №56 დადგენილებით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 178 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული „საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდის წესი, პერიოდულობა და ვადა“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 210020010.10.003.024448

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2024 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.